მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია
,,მარტვილი-საქართველოსთვის"-ს სხდომის

ოქმი №1

ქ. მარტვილი 03 დეკემბერი 2021 წელი

სხდომა დაიწყო 10:00 სთ-ზე დამთავრდა 11:30 საათზე

სხდომას ესწრებოდნენ: აკაკი ხუნწელია, გიორგი ხორავა, შალვა თაფლაძე, მაგდა შირავა და სერგი ფაცაცია.

სხდომის თავმჯდომარედ დასახელდა აკაკი ხუნწელიას კანდიდატურა, სხდომის მდივნად მაგდა შირავას კანდიდატურა. ღია კენჭისყრის შედეგად სხდომამ დაადგინა სხდომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას აკაკი ხუნწელია და სხდომის მდივნად მაგდა შირავა.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ფრაქციის ,,მარტვილი-საქართველოსთვის" წესდების დამტკიცება;
   /მომხსენებელი: აკაკი ხუნწელია/
2. ფრაქციის ,,მარტვილი-საქართველოსთვის" პოლიტიკური პლატფორმის დამტკიცება;
   /მომხსენებელი: აკაკი ხუნწელია/
3. ფრაქციის თავმჯდომარის არჩევა;
   /მომხსენებელი: აკაკი ხუნწელია/
4. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეების არჩევა.

მოისმინეს 1. მომხსენებელმა აკაკი ხუნწელიამ ფრაქციის სხდომის მონაწილეებს აცნობა ფრაქცია ,,მარტვილი-საქართველოსთვის" დაფუძნების შესახებ და გააცნო ფრაქციის ,,მარტვილი-საქართველოსთვის" წესდების პროექტი, რომელიც სათითაოდ დაურიგდათ სხდომის მონაწილეებს.

აზრი გამოთქვეს: შალვა თაფლაძემ და სერგი ფაცაციამ, რომლებმაც მოიწონეს წესდების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ აკაკი ხუნწელიამ ფრაქცია ,,მარტვილი-საქართველოსთვის" წესდების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე, რომელიც სხდომის მონაწილეებმა მიიღეს ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფრაქციის ,,მარტვილი-საქართველოსთვის" წესდება წარმოდგენილი რედაქციით.

ფრაქცია ,,მარტვილი-საქართველოსთვის" წესდება და სხდომის გადაწყვეტილება სხდომის ოქმს თან ერთვის.

მოისმინეს 2. მომხსენებელმა აკაკი ხუნწელიამ ფრაქციის სხდომის მონაწილეებს გააცნო ფრაქციის ,,მარტვილი-საქართველოსთვის" პოლიტიკური პლატფორმის პროექტი, რომელიც სათითაოდ დაურიგდათ სხდომის მონაწილეებს.

აზრი გამოთქვეს: გიორგი ხორავამ და მაგდა შირავამ, რომლებმაც მოიწონეს და მხარი დაუჭირეს ფრაქციის პოლიტიკურ პლატფორმას წარმოდგენილი სახით წესდების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ აკაკი ხუნწელიამ ფრაქციის ,,მარტვილი-საქართველოსთვის" პოლიტიკური პლატფორმის პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე, რომელიც სხდომის მონაწილეებმა მიიღეს ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფრაქციის ,,მარტვილი-საქართველოსთვის" პოლიტიკური პლატფორმა წარმოდგენილი სახით.

ფრაქციის ,,მარტვილი-საქართველოსთვის" პოლიტიკური პლატფორმა სხდომის ოქმს თან ერთვის.

მოისმინეს 3. სხდომის თავმჯდომარემ აკაკი ხუნწელიამ წესდების შესაბამისად ფრაქციის წევრებს მიმართა დაესახელებინათ ფრაქციის თავმჯდომარის კანდიდატურა.

ფრაქციის წევრმა სერგი ფაცაციამ ფრაქცია ,,მარტვილი-საქართველოსთვის" თავმჯდომარედ დაასახელა გიორგი ხორავას კანდიდატურა, რასაც ერთხმად დაეთანხმნენ სხდომის წევრები.

სხდომის თავმჯდომარემ აკაკი ხუნწელიამ ფრაქციის ,,მარტვილი-საქართველოსთვის" თავმჯდომარის თანამდებობაზე დასახელებული გიორგი ხორავას კანდიდატურა დააყენა კენჭისყრაზე.

სხდომის მონაწილე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ფრაქციის ,,მარტვილი-საქართველოსთვის" თავმჯდომარედ გიორგი ხორავას კანდიდატურას.

დაადგინეს: ფრაქციის ,,მარტვილი საქართველოსთვის" თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გიორგი ხორავა.

მოისმინეს 4. ფრაქციის ,,მარტვილი საქართველოსთვის" თავმჯდომარის არჩევის შემდეგ სხდომას წარუძღვა გიორგი ხორავა.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ხორავამ წესდების შესაბამისად ფრაქციის წევრებს მიმართა დაესახელებინათ ფრაქციის თავმჯდომარის კანდიდატურა. მან სხდომის წევრებს შეახსენა, რომ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ფრაქციას ყოველ 3 წევრზე ჰყავს ერთი მოადგილე. აქედან გამომდინარე უნდა დასახელდეს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის ერთი კანდიდატურა.

ფრაქციის წევრმა აკაკი ხუნწელიამ ფრაქცია ,,მარტვილი-საქართველოსთვის" თავმჯდომარის მოადგილედ დაასახელა შალვა თაფლაძის კანდიდატურა, რასაც ერთხმად დაეთანხმნენ სხდომის წევრები.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ხორავამ ფრაქციის ,,მარტვილი-საქართველოსთვის" თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე დასახელებული შალვა თაფლაძის კანდიდატურა დააყენა კენჭისყრაზე.

სხდომის მონაწილე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ფრაქციის ,,მარტვილი-საქართველოსთვის" თავმჯდომარის მოადგილედ შალვა თაფლაძის კანდიდატურას.

დაადგინეს: ფრაქციის ,,მარტვილი საქართველოსთვის" თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა შალვა თაფლაძე.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე: **გიორგი ხორავა**

სხდომის მდივანი: **მაგდა შირავა**

წევრები: **აკაკი ხუნწელია**

შალვა თაფლაძე

სერგი ფაცაცია